საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 02/1123-16

"07" 04 2016 წ.

ინდ. მეწარმე „გიორგი გაფრინდაშვილს"

ბატონო გიორგი,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის შესაბამისად", 2500-2690 მჰც დიაპაზონის განაწილება პერსპექტივაში უნდა მოხდეს ევროკომისიის 2008/477/EC-ს და ECC/DEC(05)05-ს გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად და განკუთვნილია მობილური/ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ქსელებისათვის (MFCN).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აგრეთვე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 47³ მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F31 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების, თქვენს მიერ გამოხატული, სურვილის შემთხვევაში ლიცენზიის ვადა გაგიგრძელდებათ 2019 წლის 24 აპრილამდე. ლიცენზიით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის ოდენობას კომისია გაიანგარიშებს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის მიხედვით.

პატივისცემით,

ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge